პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 12 აგვისტო, 1989 წელი ● № 33 (2858) ● СУББОТА, 12 АВГУСТА 1989 г.

## დრომ მოითხოვა

**თბილისის** სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს პირადმა შემადგენლობამ დიდი მოწონებით აღიქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 4 აგვისტოს დადგენილება „დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ“.

ასეთი დოკუმენტის მიღება დრომ და ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ მოითხოვა, რამეთუ ამ უკანასკნელ პერიოდში ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში დანაშაულობათა და სამართალდარღვევების რაოდენობა დღითიდღე მატულობს, ზოგიერთი სახის დანაშაულმა კი ორგანიზებული ხასიათიც მიიღო.

გულახდილად რომ ვთქვათ, უწინაც არსებობდა ჩვენს სისტემაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა კოლეგიალური ინსტიტუტები, მათ შორის მართლწესრიგის განმტკიცების საკოორდინაციო საბჭო, მაგრამ, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, მისი მუშაობა არ იყო ეფექტური. არსებობდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის არაერთი კანონი, რომლებიც კარგად იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ გამოყენებას და განუხრელად შესრულებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, ცხოვრებასა და კანონს შორის საკმაოდ დიდი უფსკრული იყო, რაზედაც ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მიუხედავად დანაშაულთა რაოდენობის მატებისა, მკვეთრად მცირდება იმ პირთა რაოდენობა, რომლებმაც პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე, რაც სამართალდამცავი ორგანოების, უმეტესწილად კი საგამოძიებო აპარატების მუშაობის არასაკმარის დონეზე მეტყველებს, იმიტომაც არის, რომ დღეისათვის მარტო ქალაქ თბილისში გაუხსნელი დარჩა წინა წლებში ჩადენილი სამ ათასზე მეტი სხვადასხვა სახის დანაშაული.

არადამაკმაყოფილებლად ტარდება აგრეთვე პროფილაქტიკური მუშაობა, უბნის ინსპექტორები და მილიციის სხვა მუშაკები, რომლებიც ვალდებული არიან გაატარონ ქმედითი ღონისძიებები დანაშაულის ჩანასახშივე აღკვეთის მიზნით, ხშირ შემთხვევაში პასიურ პოზიციას იკავებენ.

ერთი სიტყვით, დღეს შინაგან საქმეთა ორგანოები მრავალი გადაუწყვეტელი პრობლემის წინაშე დგანან და, როგორც იტყვიან, აღნიშნულმა დადგენილებამ სულზე მოგვისწრო. მისი აქტუალობა მეტად მნიშვნელოვანია მილიციის მუშაობის შემდგომი გაძლიერებისა და უფლებამოსილების გაფართოების საქმეში.

მანამდე კი, სანამ დედაქალაქის სამართალდამცავ ორგანოებში შეიქმნება დამნაშავეობასთან ბრძოლის დროებითი კომიტეტი, ჩვენს სამმართველოში უკვე შედგა პირველი სხდომა, რომელზეც განხილული იქნა არაერთი წინადადება საპრობლემო და გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის შესახებ. შემოსულ მოთხოვნათა საფუძველზე რესპუბლიკის სათანადო ინსტანციების მიერ დედაქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის გამოყოფილი იქნა 20 ავტომანქანა და ჯავშანტრანსპორტიორები.

აღნიშნულ დადგენილებაში მისასალმებელია ის გარემოებაც, რომ კანონი უკვე კონკრეტულად აყალიბებს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა უსაფრთხოების პრობლემას, სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებთან ბრძოლის კრიზისულ პირობებში საგანგებო ღონისძიებების წესს, მათ შორის იგი აფართოებს იარაღის გამოყენების უფლებებს განსაკუთრებით საშიში სიტუაციის წარმოშობისას.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იარაღის გამოყენებაზე არ იქნება დაწესებული უმკაცრესი კონტროლი, მაგრამ ისიც არის აღსანიშნავი, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში ხშირად მილიციის მუშაკები უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდნენ, რადგან მათ კატეგორიულად ჰქონდათ აკრძალული ბოროტმოქმედთა თავდასხმისას რაიმე უკიდურესი ზომების მიღება, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, რაც ხშირად მათთვის სავალალო შედეგით მთავრდებოდა, ზოგჯერ კი სიცოცხლის ფასადაც უჯდებოდათ.

ამიტომაც სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ საჭიროდ იქნა მიჩნეული სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს მილიციის მუშაკებსა და დამნაშავეობასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში მონაწილე (ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები) და სხვა პირთა სიცოცხლის და ღირსების ხელყოფისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი.

საბჭოთა მთავრობის მხრივ მილიციის ორგანოებისადმი ასეთ ზრუნვას კი საპასუხო ქმედება უნდა მოჰყვეს, რაც გამოიხატება შინაგან საქმეთა ორგანოებში დისციპლინის განმტკიცებასა და სოციალისტური კანონიერების განუხრელად დაცვაში. ყოველდღიურ მუშაობაში შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები შეურიგებელნი უნდა ვიყოთ ყოველივე ნეგატიურის მიმართ, მაქსიმალურად გამოვავლინოთ და ვამხილოთ დამნაშავე ელემენტები, არ დავუშვათ არავითარი შემწყნარებლობა ყაჩაღების, მძარცველების, დამტაცებლების და ქურდების, ნარკოტიკების რეალიზატორების, სპეკულანტების მიმართ, არ დავუშვათ ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფების ჩამოყალიბება, ვამხილოთ ისინი ფორმირების სტადიაში.

**რ. ზვენაძე,**
**თბილისის შს სამმართველოს უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

К ДНЮ СТРОИТЕЛЯ

## ПРЕОДОЛЕТЬ ТРУДНОСТИ, НАВЕРСТАТЬ УПУЩЕННОЕ

**МНОГОЧИСЛЕННЫЕ** и ответственные задачи выполняет Ремонтно - строительное управление МВД ГССР, коллектив которого насчитывает более 650 человек. В настоящее время строительные работы ведутся на 30 объектах, расположенных в различных регионах республики и ее столице.





В нынешнем году завершено строительство жилого помещения для одного из подразделений внутренних войск, фермы для выращивания молодняка скота в Мухровани, а также возведенного по заказу Тбилгорисполкома детского сада в микрорайоне Глдани. Скоро вступят в строй и новые здания Зестафонского, Ванского и Амбролаурского РОВД. Помимо капитального строительства коллективом управления осуществляются многочисленные ремонтные работы в различных организациях МВД республики, причем основной удельный вес их приходится на учреждения системы УИД МВД ГССР.

Несмотря на определенные положительные результаты есть у коллектива управления и ряд серьезных проблем, требующих своего скорейшего решения. Прежде всего это касается принявших уже хронический характер недопоставок строительных материалов, в результате чего простаивает техника, срывается график строительных работ. Так, в частности строящиеся по заказу Тбилгорисполкома в микрорайонах Варкетили и Диди Дигоми два здания возведены на настоящий момент лишь наполовину. Строительство 60-квартирного дома в микрорайоне Варкетили, начатое в 1987 году, должно было быть завершено в прошлом году, однако и сейчас конца ему не видно.

— Из-за постоянных недопоставок строительных материалов вряд ли удастся завершить строительство этого дома и в нынешнем году, — говорят главный инженер РСУ МВД ГССР В. Биланишвили и старший прораб управления Ш. Джангулашвили, — что можно сделать, если Метехский кирпичный завод вместо запланированного на первое полугодие одного миллиона в т. ч. в I квартале — 700 тыс., во II — 300 тыс. кирпичей поставил нам лишь 200 тысяч. Часто простивают три башенных крана, а всего простой техники создал перерасход средств более чем на 22 тысячи рублей. По причине недопоставок материалов большие сложности испытывает в работе и цех деревянных изделий и металлоконструкций (начальник — С. Магулария), в результате чего, в частности, не осуществлены намеченные по графику работы по настилу 1.000 кв. метров полов в ЛТП. Думается, организации - заказчики, в том числе Тбилгорисполком, должны проявлять больше внимания к нам, помогать в решении вопросов своевременных поставок, что создаст условия для нормальной, продуктивной работы, четкого соблюдения графика строительных и ремонтных работ.

**Г. МГАЛОБЛИШВИЛИ.**

**НА СНИМКАХ:** прораб Г. Мепаришвили с рабочими Т. Матуа, О. Онианшвили, Ш. Садояном и Л. Твтученко; новый детский сад в микрорайоне Глдани.

Фото автора.

## სანიმუშო განაწესი

**ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით დმანისის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილეს პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანს შ. გარაქლოვს და ვთხოვეთ მოკლედ მოეთხრო მილიციის მუშაობაზე რეგიონში ვითარების გასაუმჯობესებლად.**

— დმანისი-მარნეულის ზონაში წარმოქმნილი რთული ოპერატიული მდგომარეობის გამო შს სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მდგომარეობის სტაბილიზების მიზნით გამოგზავნილი იქნა სხვადასხვა დანაყოფების თანამშრომლები.

საგუშაგოებს შორის ყველაზე მეტად გამოირჩევიან და სანიმუშოდ ეწევიან სამსახურს სოფ. პატარა დმანისის საგუშაგოს თანამშრომლები: გორის შს რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი თ. ბენიაშვილი, გორის შს რაიგანყოფილების უბნის რწმუნებული, მილიციის კაპიტანი გ. შუშაბერიძე, დმანისის შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, ჯგუფის უფროსი, მილიციის ლეიტენანტი ჯ. ცხელაშვილი, საქ. სსრ შს სამინისტროს სასწავლო ცენტრის მასწავლებელი, მილიციის ლეიტენანტი ს. მურადიანი და საბჭოთა და პარტიული ორგანოების დაწესებულებათა დაცვის განყოფილების მილიციელი ზ. ჭულაბერიძე.

## „მარტო გაზრდა რას უშველის...“

**...მართლაც** და რა კარგად უთქვამს ჩვენს სახიქადულო პოეტს — ალბათ კაცს რომელიც ერთხელ უკვე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ნამყოფია და განცდილი აქვს ყველა ის შეზღუდვა და წვალება, თუ ბუნებით არ არის დაწყევლილი ისევ უკან დაბრუნებას არ მოისურვებს. როგორ ვხვდებით პატიმრობიდან დაბრუნებულ პირებს, რით ვეხმარებით, რით ვუწყობთ ხელს? ალბათ ეს საკითხი, დემოკრატიის პირობებში აქტუალურია. ხომ არ შეიძლება კაცი, რომელიც ერთხელ გადაცდა, შემთხვევით თუ განზრახ ჩაიდინა დანაშაული მოვწყვიტოთ საზოგადოებას, მას ყოველთვის ჰქონდეს დამღა, რომ ის ნასამართლევია? თუ არა საზოგადოებამ მაშ ვინ უნდა იზრუნოს მასზე, ვინ უნდა ჩააბას ის ცხოვრების სახელმწიფოებრივ რითმში? დასამალი არ არის და ეს ხშირად აღნიშნულა სახელმწიფო თუ პარტიულ მუშაკთა გამოსვლებში, რომ შრომა-გასწორების დაწესებულებები ვერ ამართლებენ და ზოგჯერ „გამოსწორების“ მაგიერ „პროფესიონალ“ დამნაშავეებს გვიბრუნებენ. ალბათ უახლოეს მომავალში ამ სამსახურის მუშაობა ძირფესვიანად გარდაიქმნება.

მანამდე კი რა ვიღონოთ, როგორ დავაყენოთ პატიმრობიდან დაბრუნებული, გზასაცდენილი პირები გზაზე, რა მოვიმოქმედოთ რომ, მათ ხელმეორედ დანაშაული არ ჩაიდინონ? ახლა გარდაქმნის, საჯაროობის და დემოკრატიის პირობებში კრიმინალოგიის და საერთოდ დანაშაულის დონის ყველა ციფრს აცხადებენ. არც ის არის დასამალი, რომ საბჭოთა კავშირში რეციდიული დანაშაულის დონემ 37 პროცენტს მიაღწია. ხელმეორედ დანაშაულს იდენს პირი, რომელიც ვერ მოეწყო სამუშაოზე, დაუკავშირდა თავის ძველ მეგობრებს, მილიციის და საერთოდ საზოგადოების თვალთახედვის გარეშე დარჩა, ვინ უნდა მოეხმაროს მას თუ არა სამართალდამცავი ორგანოები? პირველ რიგში უბნის ინსპექტორი ადგილობრივი სოფლის საბჭოს ან სოფლის აქტივი. სინამდვილეში პატიმრობიდან დაბრუნებულს ჩვენ, 10 დღის ვადაში ვაძლევთ პასპორტს, ვწერთ საცხოვრებელ ადგილზე, ვიყვანთ აღრიცხვაზე და ვაგზავნით სამუშაოზე. თუ სამსახურიდან ცნობა წარმოგვიდგინა ჩვენ ამით ვკმაყოფილდებით და თუ სპეციალურად არ დაისვა საკითხი აღარ ნასამართლევ პირებთან მუშაობაზე, არც ვკითხულობთ, არც სამსახური

(გაგრძელება მე-2 გვ-ზე).

К ИТОГАМ ПОЛУГОДИЯ

# Не останавливаться на достигнутом

**Когда мы попросили заместителя начальника УВД Тбилгорисполкома полковника милиции Г. Шаламберидзе сказать, какой из подчиненных управлению райотделов имеет на сегодняшний день лучшие показатели, он, ни минуты не сомневаясь, назвал Октябрьский РОВД. Об итогах работы этого коллектива за истекший период года сегодня рассказывает его руководитель подполковник милиции Э. Гороладзе.**

**В СЛОЖНОЙ,** во многом непривычной обстановке приходится работать в нынешнем году сотрудникам ОВД республики, в том числе и коллективу нашего отдела. В результате трагических событий в Тбилиси, Квемо Картли и Абхазии ухудшилась оперативная обстановка, что потребовало дополнительных усилий для охраны общественного порядка. Сотрудники нашего РОВД с честью выполняли свой служебный и гражданский долг весной нынешнего года в столице республики, принимали активное участие в обеспечении должного общественного порядка в Квемо Картли.

Подобное отвлечение сил и средств, естественно, создало дополнительные трудности, но благодаря усилиям всего коллектива за истекший период года удалось сохранить в целом стабильную обстановку в районе. За 7 месяцев Октябрьским РОВД зарегистрировано на 9,6 процента меньше преступлений, чем за аналогичный период прошлого года, их раскрываемость составила 97 процентов. Сократилось на 3 единицы число преступлений по линии УР, в том числе против жизни и здоровья граждан, попытки умышленных убийств и нанесения тяжких телесных повреждений. Возросло количество выявленных краж, хулиганств, изъятия холодного и огнестрельного оружия. Сотрудниками ОУР выявлена и задержана группа из пяти человек, совершившая в различных регионах города угоны автомашин. Преступники разбирали автомобили на запчасти, которые затем реализовывали, а корпуса машин сжигали.

Активно велась борьба с таким социальным злом, как наркомания. По этой линии выявлено 12 преступлений, в том числе трижды удалось выйти на реализаторов наркотических веществ. Так, были задержаны член кооператива «Пирузи» Г. Чипчиури и электромеханик РМУ МВД ГССР А. Белозеров. В личной машине и на квартире Г. Чипчиури был обнаружен и изъят предназначенный для реализации гашиш.

На сегодня в отделении состоят на учете 120 лиц, употребляющих наркотики. За истекший период совместно с органами здравоохранения помещено в диспансер для стационарного лечения 12 наркоманов, шестеро наказаны в административном порядке за употребление наркотиков.

Большой вклад в борьбу против всех указанных выше видов преступлений внесли сотрудники уголовного розыска — начальник ОУР майор милиции Л. Чичуа, старший оперуполномоченный ОУР майор милиции И. Цихелашвили, оперуполномоченные капитан милиции М. Чичучишвили, старшие лейтенанты милиции Г. Гаганидзе, Д. Джаджвадзе, Т. Давиташвили, лейтенант милиции Г. Алавердашвили.

Несколько активизировалась борьба с нетрудовыми доходами, преступлениями по линии БХСС. Среди наиболее крупных дел, раскрытых при активном участии сотрудников отдела, следует назвать факт хищений тканей в особо крупных размерах (свыше 300 тысяч рублей) на Качретской швейной фабрике. Выявлена преступная связь работников фабрики, членов швейного кооператива Октябрьского района «Надежда» и Волгоградского торгово - закупочного кооператива «Лидия», которые путем безтоварных операций совершали хищения тканей. В настоящее время дело расследуется созданной по приказу министра внутренних дел республики группой СУ МВД ГССР, в которой активно работают следователи отдела — капитан милиции Д. Сабелашвили и старший лейтенант милиции М. Картвелишвили, а также старший оперуполномоченный БХСС майор милиции Р. Берадзе.

Определенная работа проведена по борьбе с пьянством и алкоголизмом. За семь месяцев с улиц, стадионов и других общественных мест в медвытрезвитель доставлено 40 человек, 375 на место работы направлены уведомления для дальнейшего реагирования.

В том, что оперативная обстановка в районе в целом оставалась стабильной, большую роль сыграла хорошая работа участковых инспекторов — члена партбюро отдела капитана милиции Т. Дарцимелия, майора милиции В. Твалавадзе, лейтенанта милиции Д. Циклаури, которых отличает прекрасное знание обслуживаемого участка и обстановк на нем, умение работать с населением, создать доверительную обстановку, чуткое реагирование на все просьбы и жалобы граждан. Особо следует отметить недавнего выпускника ТФМВШМ МВД СССР Д. Циклаури. Поначалу у него не все получалось, были и ошибки, и просчеты, но постепенно, благодаря помощи старших товарищей, приобретению опыта практической работы, а главное упорству, трудолюбию, он добился высоких показателей.

Несмотря на достигнутые отделом определенные положительные результаты мы понимаем, что нельзя останавливаться на достигнутом. Несмотря на некоторое улучшение статистических данных и тенденцию к снижению отдельных видов преступлений у коллектива отдела есть немало нерешенных задач. Так, в частности, требует существенного улучшения профилактическая работа, борьба сотрудников служб ОУР, БХСС, участковых инспекторов, с наркоманией, со взяточничеством, замаскированными группами расхитителей соцсобственности. Большие трудности создает в работе и состояние находящегося в аварийном положении здания РОВД. Имеются трудности с материально-техническим обеспечением, в частности, транспортными средствами. Так, из имеющихся трех служебных автомобилей «Жигули», практически, на ходу один, а два подлежат списанию.

На решении этих и других наболевших вопросов сейчас концентрируются усилия руководства, политработников, партийной организиции отдела, которым предстоит немало сделать для повышения исполнительской дисциплины сотрудников, их профессионального мастерства, ответственности за порученное дело — в этом мы видим залог повышения результатов оперативно - служебной деятельности.

გახსენება

## მოგვენატრები



# ТРЕВОЖНЫЙ ЗВОНОК

**раздался ранним утром одного погожего летнего дня в квартире начальника Цалкского РОВД подполковника милиции Т. Фахирова.**

**«Да поможет тебе бог, сын мой,— послышался в трубке взволнованный голос,—помоги отцу своему в несчастье и покровителем будет тебе всевышний». После столь необычного вступления говоривший, представившись священником Джинисского прихода Д. Паташвили, сообщил об ограблении своего дома.**

**ДЛЯ РАССЛЕДОВАНИЯ** дела под руководством начальника РОВД немедленно была создана оперативная группа, в которую вошли коммунисты—старший оперуполномоченный ОУР майор милиции К. Хачатурян, секретарь комсомольской организации РОВД оперуполномоченный ОУР старший лейтенант милиции Н. Сариев и участковый инспектор капитан милиции В. Азов.

Благодаря умелой организации оперативно - розыскных мероприятий сотрудникам милиции понадобилось всего несколько часов для установления и задержания преступников. Ими оказались жители села Авралo П. Чилов и П. Сатиров.

Как выяснилось, они подрядились строить церковь в селе Пога Богдановского района. Д. Паташвили то и дело наведывался к ним посмотреть, что и как делают строители, а в последний свой приезд, после осмотра стройки, остался у них ночевать.

«Гостеприимные» подрядчики с трудом дождались, когда святой отец заснет, затем выкрали у него из кармана ключи от квартиры и личного автомобиля и на нем же отправились в село Джиниси грабить дом священника, который мирно спал, доверившись своим прихожанам.

Приехав в Джиниси, дружки проникли в дом, перевернули в нем все вверх дном в поисках ценностей. Словно решив доказать, что в душе у них «нет ничего святого», они не брезгали ничем — от 100 с лишним лотерейных билетов до церковных икон, креста и алтарных принадлежностей. Всего было похищено ценностей на сумму в несколько тысяч рублей. Погрузив добычу в автомобиль, «строители» отправились в обратную дорогу. Приехав на место, они спрятали награбленное в надежном месте и отправились отдыхать после столь тяжких трудов, устроившись удобно рядом с ничего не подозревавшим священником.

Утром грабители как ни в чем не бывало разбудили святого отца, спросили, как спалось. Д. Паташвили после недолгих сборов, весьма довольный результатами своей инспекторской поездки, сел в машину, еще не успевшую остыть от ночной гонки, и отправился к себе домой.

Каково было его удивление, когда, войдя в дом, он увидел следы настоящего погрома и обнаружил пропажу ценностей. Не полагаясь на кару небес, он обратился в милицию, где довольно быстро разрешили сложную задачу, выявив и задержав преступников, никак не предполагавших, что их так быстро изобличат.

Все награбленное, в том числе и церковные принадлежности, было возвращено хозяину церкви. По факту возбуждено уголовное дело, и вскоре ловкачи предстанут перед судом и понесут заслуженное наказание.

Г. ГУРАМИШВИЛИ.

# „მარტო გაზრდა რას უშველის"...



# Слова сердечной признательности

**ВСЕГДА** приятно получать письма, в которых население дает высокую оценку работе сотрудников органов внутренних дел республики. Вот одно из последних поступлений редакционной почты.

«2 июля вечером мы с мужем, племянником, невесткой и двумя малолетними детьми находились дома. Внезапно наш телевизор марки «Иверия» взорвался и пламя стало сразу распространяться по квартире, — пишет нам жительница г. Тбилиси Нателла Долидзе. — Прибывшие вскоре по нашему вызову бойцы подразделения пожарной охраны Орджоникидзевского района отважно боролись с огнем, и вскоре пожар был потушен. Понятно наше отчаяние — ведь почти все находившиеся в квартире вещи сгорели. Пожарные, как могли, утешили нас, пытаясь облегчить тяжесть происшедшего. Один из них подал мне сбереженную им от огня маленькую шкатулку с нашими семейными ценностями. Лишь позже мы узнали его имя — Валерий Якобашвили. Проявленные им вежливость, честность и порядочность заслуживают самых теплых слов.

Хочется выразить сердечную признательность его родителям, педагогам, руководителям подразделения за воспитание Валерия. Такими молодыми людьми наша Родина может по праву гордиться. Большое спасибо ему и его товарищам за оказанную нам в трудную минуту помощь».

## АДРЕСА ПЕРЕДОВИКОВ







**ПОДДЕРЖАНИЕ должного порядка на автодорогах, обеспечение безопасности движения — одна из важнейших задач сотрудников ОВД республики. Лучшие из них, такие как командир подразделения ДПС Горийского ГОВД сержант милиции Г. Дудашвили, отличник милиции, награжденный медалями «За безупречную службу» всех трех степеней, и автоинспектор Зугдидского ГОВД, старшина милиции Р. Кендия, постоянно добиваясь высоких результатов в оперативно-служебной деятельности, обеспечивают своим трудом четкое и бесперебойное движение на транспортных артериях республики.**

## კრიმინალისტიკა, ბიურო და საზოგადოება

სწრაფად, ოპერატიულად

# მკვლელს მიაგნეს

НА КУРОРТАХ РЕСПУБЛИКИ

# К ОЗЕРУ—ЗА ЗДОРОВЬЕМ



БАЗАЛЕТСКОЕ озеро — одно из красивейших уголков нашей республики. Здесь в каждые три дня восстанавливают свое здоровье до 600 гостей нашей республики, приезжающих на базу, расположенную на берегу озера.

— Если на территории базы царит всегда порядок, в этом большая заслуга сотрудников Душетского РОВД, — говорит директор базы О. Закаидзе.

— Во время прогулки на катере я оставила в нем свою сумку, и вспомнив через 2-3 часа, обратилась за помощью к участковому. Через полчаса он мне принес мою сумку и те деньги, которые были в ней. Большое спасибо ему, — сказала в беседе заслуженный врач РСФСР, хирург из Брянска Н. Зворыкина.

**НА СНИМКЕ: сотрудники Душетского РОВД участковый инспектор капитан милиции Д. Кавтарадзе и автоинспектор старший лейтенант милиции Т. Бекаури.**

რეპლიკა

## „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა"...

**მილიციის** ავტორიტეტზე, მის სამსახურებრივი საქმიანობის ავკარგზე დღეს ბევრი იწერება. ბევრი თანამშრომელი თავისი ადამიანობით, საზოგადოებრივი მრწამსით მისაბაძი და სამაგალითოა. მაგრამ ბევრის მიმართ ხალხს ტკბილი სიტყვაც არ ემეტება. არადა ხშირად არ სტყუიან, რადგან ზოგიერთი მილიციელის უხეშობა, არაკომპეტენტურობა პიროვნებისათვის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია.

საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს მილიციის მუშაკებისადმი სტერეოტიპული (უარყოფითი) დამოკიდებულება. სამინისტროს ხელმძღვანელობა იბრძვის ჩვენი რიგების სიწმინდისათვის, თანამშრომელთა შორის ყოველგვარი უარყოფითის, კერძოდ უხეშობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ძალზე რთული პროცესია, სამწუხაროდ მსგავსი შემთხვევები ჩვენს მუშაობაში ხშირად გვხვდება, რისი მოწმენიც ამ დღეებში ჩვენც გავხდით.

...იმ დღეს გაზეთ „მებრძოლი გუშაგის" თანამშრომლები სამსახურებრივ საქმესთან დაკავშირებით მივედით შს სამინისტროს მე-2 კორპუსში. უკან დაბრუნებისას ერთერთ ჩვენგანს ინფორმაციის დასაზუსტებლად დასჭირდა ტელეფონი. დაცვის მორიგემ ტელეფონის ყურმილი თავაზიანად დაგვითმო, რადგან არავინ უპასუხა, ჩვენი თანამშრომელი უკან გაბრუნდა...

ფოიეში ორნი დავრჩით. ამ დროს ხმაურით მოგვვარდა საქ-პლოტციო-საკომენდატო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ი. ქავთარაძე და ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული უხეშობით „წესრიგისაკენ" მოგვიწოდა. მისი თქმით ჩვენ, რედაქციის თანამშრომლებს უფლება არ გვქონია შევსულიყავით ან ვიდგეთ სამინისტროს შენობაში. გაგონილა მსგავსი რამ? ჩვენ რომ დღე გვაჭარეს, წარმოიდგინეთ სხვას რა მოელოდა. გარშემო ხომ იდგნენ მოქალაქეები და მილიციის თანამშრომლები რომლებიც ჩვენზე მეტად დაბნეულები შესცქეროდნენ „თავაზიან მუშაკს".

გულგამეხებული თანამშრომელი მანამ არ მოგვშორდა სანამ ყვირილით და ლამის ხელის კვრით ქუჩაში არ გამოგვყარა. შემდეგ დაცვის მორიგეს მივარდა და სამსახურიდან მოხსნით დაემუქრა. ნათქვამია „მოთმინებითა შენითაო" და ჩვენც დავიოკეთ შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა, მაგრამ დღესაც ვერ გაგვიგია თუ რა ისეთ განსაკუთრებულ, არნახულ დანაშაულში მიგვიძღვის ბრალი.

ჩვენ მორალის კითხვას არ ვაპირებთ, მაგრამ ზოგი რამ მაინც ძალიან გვაინტერესებს.

რით ავხსნათ ბატონო იური თქვენი იმდღევანდელი მოქმედება, ეს არის თქვენი ყოველდღიური საქმიანობის სტილი, თუ ჩვენი რედაქციის თანამშრომლებს ეცრათ ასეთი „პატივი"?!... საინტერესოა საქმეს რამ უფრო ავნო, ჩვენმა ფოიეში დგომამ თუ იმ შთაბეჭდილებამ, რომელიც თქვენს საქციელზე შეექმნათ გარშემო მყოფთ?

იქნებ ჩაუფიქრდით თქვენს საქციელს, სინდისი გქეჯნით, არ გაძლევთ მოსვენებას და გინდათ აგვიხსნათ რა მოხდა მაშინ, რატომ იყავით ასე აგრესიული ჩვენს მიმართ. იქნებ ჩვენ სწორად ვერ გავიგეთ თქვენი უხეშობის მიზეზი, რომელსაც ყველა შემთხვევაში გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ თუ გაქნებათ სურვილი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთის ფურცლებზე გამოთქვათ თქვენი მოსაზრება რედაქცია მზად არის მოგცეთ ამის საშუალება.

**მ. მოხიძე,**
**ზ. მგალობლიშვილი.**

შემდეგ ვახტანგი ელისოს მიუბრუნდა:

— როგორ ხარ, ეს სად მომიყვანე? ალბათ რაღაცა გაუგებრობაა, მითხარი რამე — მავედრებელი კილოთი ჰკითხა მან.

ელისოს ხმა არ ამოუღია. გაიხედა გამომძიებლისაკენ და რა ნახა, რომ ყანჩაველი მას პირდაპირ თვალებში უყურებდა, თავი ჩაღუ-ვახტანგი გავიდა, აბას ოლლი უკან გაჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ აბას ოლლი უკან შემოვიდა. ყანჩაველმა ჰკითხა:

— შენობიდან გარეთ გააცილეთ?

— დიახ ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, — უპასუხა აბას ოლლიმ.

— ესეც გაიყვანეთ — უთხრა ყანჩაველმა და ელისო ჯაველიშვილზე მიუთითა.

**ზ. ბოგვია**

## „თანამედროვე აფა"

**(დოკუმენტური რომანი)**

ნა.

— არაფერია ვახტანგ, ხომ გაიგე გამომძიებელმა რა სთქვა? რაღაცაას დავაზუსტებთო და მერე გამომიშვებენ, ეტყობა რაღაცაში ცდებიან,—უთხრა ელისომ ვახტანგს ისე, რომ თავი არ აუწევია. ბოლოს როდესაც დაამთავრა პასუხი თავი ასწია და ისევ გამომძიებლისაკენ გაიხედა. ყანჩაველი კვლავ თვალმოუშორებლად უყურებდა. ასევე თვალმოუშორებლად უყურებდა ელისოს აბას ოლლიც.

—როგორა ხარ ვახტანგ?—ჰკითხა ელისომ და მზერა ვახტანგისაკენ გადაიტანა — სახლში ხომ მშვიდობაა? როგორ არის შოთა; მეზობლები რას ამბობენ ჩემზე? — ამ კითხვების დროს ელისომ ორჯერ გაიხედა ყანჩაველისაკენ და ორივეჯერ ლინკევსისებური მზერით მაყურებელ თვალებს შეეფეთა.

აშკარად ჩანდა, რომ ელისოს რაღაცა უნდოდა, ეთქვა ქმრისათვის ისე, რომ ყანჩაველსა და აბას ოლლის არ გაეგონათ, ან რაღაცა უნდოდა ენიშნებინა ქმრისათვის ისე, რომ მათ არ დაენახათ, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან ორივე მოურიდებლად და პირდაპირ თვალებში უყურებდნენ.

— ამხანაგო გამომძიებელო, შეიძლება ვახტანგს რამე დავაბარო მოსატანად? — მიმართა ელისომ ყანჩაველს.

— კი ბატონო, ოღონდ უჩემოდ არაფერს არ გადმოგცემენ — უპასუხა ყანჩაველმა და აბას ოლლის მიმართა — გაიგეთ აბას ოლლი — უჩემოდ არაფერი. ეს ისე უთხრა აბას ოლლის, რომ ელისოსათვის თვალი არ მოუცილებია.

— გასაგებია ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო — უპასუხა აბას ოლლიმ.

— ვახტანგ აქ ღამით სიცივეა, მომიტანე... და ელისომ ოდნავი ხმის დაწევით დააყოლა — შენ თვითონ იცი რაც მჭირდება.

ყანჩაველმა და აბას ოლლიმ მხედველობა და ყურადღება დაძაბეს რათა არაფერი გამოპარვოდათ, მაგრამ ელისოს აღარაფერი აღარ უთქვამს.

— საჭმელი რა მოგიტანო ელი? ჰკითხა ვახტანგმა.

— არაფერი არ მინდა, არა მშია — უპასუხა მან.

სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ყანჩაველმა დაარღვია:

— დაამთავრეთ საუბარი ქალბატონო?

— კი ბატონო, დიდი მადლობა.

— ამხანაგო აბას ოლლი — მიმართა ყანჩაველმა — გაიყვანეთ ვახტანგ ჯაველიშვილი, და შემოდით — ეს ისე უთხრა, რომ ელისო ჯაველიშვილისათვის კვლავ თვალი არ მოუცილებია.

გამომძიებელი მარტო დარჩა ოთახში, ახლა, კი მისთვის აშკარა იყო, ელისო ჯავალიშვილს რაღაცის დაბარება უნდოდა მეუღლისათვის, აშკარა იყო რომ რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ რა უნდა ეთქვა? რის შესახებ უნდა გაეფრთხილებინა? ეს კითხვები, რომლებიც გამომძიებელს აწვალებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ.

ვერ შველოდა, რადგან კანონის მიხედვით, მას დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

ელისო ჯაველიშვილის შემთხვევაში ჯერ რა ხდებოდა ვერ გარკვეულიყო, მაგრამ ელისო გამომძიების წინაშე გულწრფელი რომ არ იყო და რაღაცას მალავდა აშკარად ჩანდა.

ყანჩაველი ფიქრებიდან გამოერკვა, კვლავ საქმეში ჩარგო თავი და კიდევ ერთხელ, ვინ იცის ეს უკვე მერამდენედ ფურცვლა და კითხვა დაუწყო ბალაშვილების ბინის გაქურდვის საქმეს.

25 იანვარს საღამოს 5... ზე გალია სოკოლოვსკაია, რომელსაც ხუთი დღეღამის ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა დაუმთავრდა, გაანთავისუფლეს და მილიციის ქვეგანყოფილების შენობიდან როგორც კი გავიდა, შორიახლო მყოფი მილიციის თანამშრომლები ამოძრავდნენ სათანადო დავალებების შესასრულებლად.

გალია სოკოლოვსკაია ცხოვრობდა დიდუბეში, ქუთაისის ქუჩაზე, დედამისთან ერთად და მუშაობდა კამვოლური დართვის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში". მილიციის ქვეგანყოფილების შენობიდან გამოსვლის შემდეგ, როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, მას მეთვალყურეობა დაუწესდა. მილიციიდან ის პირდაპირ სახლში წავიდა და იმ საღამოს სახლიდან აღარ გამოსულა. მოძრავი კორესპონდენტები ყოველ ნახევარ საათში ერთხელ იტყობინებოდნენ, რომ „ობიექტი ადგილზეა". ასე იყო ობიექტი ადგილზე მეორე დილამდე, ხოლო მეორე დღეს კი დილის შვიდ საათზე:

„— ობიექტი სახლიდან გამოვიდა" გაისმა ანტონ ცოფურაშვილის ხმა სატარებელ რადიოსადგურებში, რომელიც ტერენტი სულხანიშვილმა მეთვალყურეთა ჯგუფის უფროსყველა მოემზადა. სოკოლოვსკაია სახლიდან გამოვიდა და სამსახურში წავიდა. სამქროში სადაც ის უშუალოდ სამსახურს ასრულებდა მას არც თვალთვალი და არც ყურადღება არ მოჰკლებია.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 21-32.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

К ДНЮ ФИЗКУЛЬТУРНИКА

# ПРИГЛАШАЕТ КЛУБ «РАШИ»

ХОРОШИЙ подарок получили любители спорта в канун 50-летия Дня физкультурника. Недавно на теннисном стадионе «Динамо» в порядке эксперимента на базе спортивной школы и стадиона создан клуб «Раши» Грузсовета «Динамо». Утвержден типовой устав, избран президент клуба. На общем собрании с участием представителей общественности и ветеранов - динамовцев первым президентом клуба избран заместитель председателя Грузсовета «Динамо» Г. Галогре.



— В день физкультурника, по традиции, будут проведены многочисленные спортивно - массовые мероприятия, — говорит заместитель начальника отдела физподготовки и оргмассовой работы Грузсовета «Динамо» подполковник милиции А. Смирницкий. — пройдут соревнования по различным видам спорта. Приглашаем всех сотрудников вместе с семьями принять участие в большом спортивном празднике.

А. МАЛАЯНЦ.

ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### ЯЗЫК НЕ ВРАГ

ЯЗЫКОВЫЙ барьер, так часто разделяющий представителей разных национальностей, на этот раз спас один из ресторанов в г. Майами (штат Флорида) от ограбления. «Где деньги?» — направив пистолет на рабочего кухни, потребовали по-английски бандиты в масках. «Я не понимаю», — ответил по-испански работающий в ресторане эмигрант-латиноамериканец. «Где деньги?» — обратились преступники к официантке. Но она тоже владела родным испанским. «Если вы не знаете, где деньги, найдите хоть администратора, — приказали они другому официанту. Его знание английского ограничивалось лишь названием блюд. Бандитам ничего не оставалось, как после безуспешных поисков кассы ретироваться.

### ЖЕНЩИНА ЗА РУЛЕМ

ЖЕНЩИНЫ водят автомобили хуже мужчин, они слабее ориентируются в правилах дорожного движения и менее внимательны. К такому выводу пришли ученые из Манчестерского университета после полутора лет исследований. Полученные данные показали, что женщины в возрасте до 30 лет склонны чаще превышать скорость, чем их ровесники мужчины. К чести представительниц прекрасного пола, серьезные аварии в большинстве случаев происходят по вине мужчин.

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში, ბოშა რაულის 29. უე 00394

რედაქტორის მაგიერ ა. ცატუროვი